გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" №58. პარასკევი. 12 მარტი. 2004 წელი

"არტისტული ყვავილები"

ქართველ პოეტთა "ნატვრის ხე"

ყოფნა საოცრებაა, ხილვა – დღესასწაული

შესაძლოა, მკითხველს ცოტა უცნაურად მოეჩვენოს "ბუნებისა და არქიტექტურის დიალოგი", მაგრამ თბილისში, სოლოლაკში, ქალაქის განაპირას, მთაწმინდის კალთებთან აღმოცენებულ სამი თეთრი თაიგულის ფორმის უცნაურ სასახლეს რომ დაინახავს, მიხვდება, – სასახლის ავტორი სულაც არ არის პრაგმატულად მოაზროვნე შემოქმედი და რაღაც ახალს, ყველასგან განსხვავებულს, თბილისის განუმეორებელ ბუნებასთან შეხამებულს გვთავაზობს.

აქ უკვე დაიწყო ბუნებისა და არქიტექტურის პოეტური დიალოგი.

ზოგიერთ თბილისელს, უფრო ზუსტად, კოჯრისკენ ამვლელ-ჩამომვლელს, ვერ გაუგია რა მშვენიერება, უფრო ზუსტად, რა პოეტური დიალოგი შეიძლება ჰქონდეს ბუნებასთან ამ უცნაური ფორმის ნაგებობას. მთაწმინდის ძირში მიყუჟულს, თითქოს ერთფეროვანს და მხოლოდ სამსართულიანს...

ან კიდევ, – დღეს ასე "გახურებული" სამშენებლო ბიზნესის ეპოქაში, რატომ არ აღმართეს აქ მინიმუმ ცხრა-ათსართულიანი თანამედროვე საცხოვრებელი სახლი?

როცა ამიხსნეს, რომ აქ რამდენიმე წლის წინათ რესტორანი "სამადლო" ფუნქციონირებდა და ახლა არქიტექტორი **შოთა ბოსტანაშვილი** საკუთარი ხელით ძერწავს პოეზიის სასახლესო, გამიკვირდა და ჩემდა უნებურად წამოვიძახე: დაუჯერებელია, დღევანდელ თბილისში, რესტორნის მაგივრად, ვინმე პოეზიის სასახლეს აშენებდეს!..

თურმე, მართლაც ყოფილა ასეთი ღვთისნიერი მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი **თეიმურაზ ქარჩავა,** რომელიც საკუთარ სამშობლოში სამორინეებს, ბენზინგასამართ სადგურებს და ბაზრობებს არ აშენებს, – ძირითადად ბავშვთა სახლებს და სკოლებს ეხმარება და კულტურულ საგანმანათლებლო ობიექტებს აგებს.

– დაფინანსება ჩემი, ორიგინალური იდეა და პროექტი შენი. ძალიან მინდა რაღაც გამორჩეული თემურ ქარჩავას სახელზეც იდგეს თბილისში,– უთქვამს მას შოთა ბოსტანაშვილისთვის.

პოეტური სულის არქიტექტორს საქართველოს ისტორიაზე, მითებსა და ლეგენდებზე შეყვარებულ შოთა ბოსტანაშვილს მეტი რაღა უნდოდა... ჯერ კიდევ 1990 წელს შექმნილ საკუთარ სტუდია-სახელოსნოში "არქიტექტურის პოეტიკა" დიდი რუდუნებით მოხაზა ორიგინალური პროექტი და ოთხი წლის წინათ მშენებლობა დაიწყო...

როგორც ამ დღეებში საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების სააქტო დარბაზში შოთა ბოსტანაშვილის ნამუშევრების საგანგებო გამოფენა პრესკონფერენციაზე ღირსეული შეგირდის მასწავლებელმა და მეგობარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ თქვა, – ვინც კოჯრისკენ მიმავალ გზაზე, ამ ახალ მშენებლობაზე, თაბაშირით და ქვიშა-ცემენტის საზელი ნიჩბით ხელში, დილიდან გვიან საღამომდე მოფუსფუსე კაცს ნახავდა, ეს შოთა ბოსტანაშვილი იყო. ის არის ამ ულამაზესი ნაგებობის არქიტექტორიც და მოქანდაკეც. არქიტექტურა ხომ ემოციის დაპროექტებაა და შოთა ბოსტანაშვილს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ შემოქმედის ემოცია ეს იგივე მისი სულიერი მდგომარეობაა. არქიტექტურის მაღალი სულიერება შოთას ნამუშევრების უმთავრესი ნიშანია. გულწრფელად მიხარია, რომ "პოეზიის სასახლე" არქიტექტორთა კავშირების საერთაშორისო ასოციაციაციის კონკურსზე, 2003 წლის ბოლოს, როგორც წლის საუკეთესო ობიექტი, პირველი პრემიით დაჯილდოვდა.

გეოგრაფიულ საზოგადოებაში ეს შეხვედრა მოაწყო საქართველოს არქიტექტორთა და მხატვართა კავშირებმა, აგრეთვე მსოფლიო მოღვაწეთა და მოგზაურობათა ხელშემწყობმა კავშირმა "გიორგიმ". შეხვედრას უძღვებოდა ჟურნალისტი გვანჯი მანია.

შოთა ბოსტანაშვილის გამოფენის მნიშვნელობაზე, მისი არქიტექტურული ხელწერის თავისებურებებზე ისაუბრეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა გივი გიგინეიშვილმა, ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის პროფესორმა თინათინ ჩიჩუამ, გინესის რეკორდსმენმა პროფესორმა ჰენრი კუპრაშვილმა, დოცენტმა ელენე კალანდაძემ და სხვებმა.

არქიტექტორს გამორჩეული სამადლობელი სიტყვებით მიმართეს საქართველოს მწერალთა კავშირის ახალმა თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა, მწერალთა კავშირის მდივანმა ვაჟა ოთარაშვილმა, პოეტებმა ვახტანგ ღლონტმა, გივი შახნაზარმა, ივერი ხრეველმა (სიმონ ჯაფარიძემ).

– ქართველებმა ძეგლი დავუდგით დედა ენას. რა კარგი და შთამბეჭდავის, რომ ორიგინალური ძეგლი-სასახლე ქართულ პოეზიასაც ექნება. ეგების, მოხერხდეს, რომ შემოდგომაზე, თანამედროვე ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის საიუბილეო საღამო ახალ სასახლეში ვიზეიმოთ, – თქვეს მწერალთა კავშირის წარმომადგენლებმა და "პოეზიის სასახლის" ავტორის თანხმობაც მიიღეს. თუმცაღა, ამ დროისთვის მისი ბოლომდე დასრულება შეუძლებელია.

შოთა ბოსტანაშვილმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ოთხგზის საკავშირო და ოთხგზის საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, არქიტექტურის პროფესორი და აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, 55 წლის შოთა ბოსტანაშვილი მართლაც გამორჩეული პოეტური ხედვის ხუროთმოძღვარია. თავად განსაზღვრეთ, – მისი "არტისტული ყვავილები", თურმე, შენობა – მემორიალია, რომელიც საუკუნეთა და ათასწლეულთა გზაგასაყარზე, დედაქალაქისა და მისი ბუნების გზაგასაყარზე დაიბადა. "არტისტული ყვავილები" თბილისში კოჯრის მხრიდან შემოსასვლელ კარიბჭესაც განასახიერებს. ქართული ფოლკლორისთვის დამახასიათებელი პოლიფონიურობით და პლასტიკით, – განახლებული საქართველოს სიმბოლოდაც წარმოსდგება.

ავტორის ჩანაფიქრით, "არტისტული ყვავილები" ანუ "ნატვრის სამი ხე" ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასი წელი და ეროვნული სულიერების სამი ეპოქალური მწვერვალია: "ოქროს საწმისი", "ვეფხისტყაოსანი" და შემოქმედი თანამედროვეობა.

ყოველივე ამის შემდეგ, არ გაგიკვირდება შოთა ბოსტანაშვილის "აღსარება": "ჩემი ძალისხმევა მიმართულია ქართულ არქიტექტურაში მითის და პოეტის დაბრუნებისაკენ, რაც გულისხმობს ჰუმანური აზროვნების პრიმატს. ეს კი ბუნებასთან და ადამიანურობასთან დაბრუნებას ნიშნავს. მემკვიდრეობისადმი პატივისცემა ხელს არ მიშლის იმის აღიარებაში, რომ

კულტურა ბარიერია (იგი ქმნის აზროვნების სტერეოტიპს), რომელიც უნდა დავძლიოთ. არქიტექტურა ხელოვნებაა, – ეს კი გამორჩეული უნარია გამოხატო ემოცია და გააღვიძო ის სხვათა გონებაშიც. ეს ნიშნავს შეინარჩუნო ბავშვობა და თამაშის აზარტი. გაოცებისა და აღტაცების უნარი...გაოცებისა იმით, რაც შენს გარშემო ხდება და რასაც თითქოს პირველად ხედავ. აღტაცებისა იმით, რომ ყოფნა საოცრებაა და ხილვა დღესასწაული...

***

ალბათ. ამ პოეტურ-ფილოსოფიური აზროვნების პატრონს საკუთარი სულის არქიტექტურულ ნაწარმოებში განსხეულებაც შეუძლია. "პოეზიის სასახლე" ანუ "არტისტული ყვავილები", ქვაში გაცოცხლებული (გახსოვთ დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები?) არქიტექტორ-მოქანდაკის შოთა ბოსტანაშვილის სული იქნება... დიდი ხნის სულიერი ჩანაფიქრი მან ქვაში გააცოცხლა.

რუსუდან ქობულია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მაგისტრანტი.